



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია



KA000031778948218

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 114-ს

12 / თებერვალი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106¹-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 242271395) წესდებაში ცვლილებები და წესდება დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

მერი

დათო გოგუა

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ (შემდგომში სამუსიკო სკოლა) არის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დაწყებით საფეხურზე.

1.2 სამუსიკო სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონების, ამ წესდების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.3 სამუსიკო სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები შესაბამის საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.4 საზოგადოების სახელწოდება/საფირმო სახელწოდებაა სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“.

1.5 საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

1.6 სამუსიკო სკოლის წესდებას ამტკიცებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.

1.7 სამუსიკო სკოლა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.8 სამუსიკო სკოლის იურიდიული მისამართია: დ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №4.

1.9 სამუსიკო სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართია: Chkhorotskussamusikoskola@gmail.com.

მუხლი 2. სამუსიკო სკოლის საქმიანობის მიზნები

2.1 სამუსიკო სკოლის საქმიანობის მიზნებია:

ა) მისცეს მოსწავლეებს 7 – წლიანი დაწყებითი სამუსიკო განათლება;

ბ) შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის;

გ) აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს;

- დ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები;
- ე) კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები;
- ვ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

- 3.1 სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
- 3.2 სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა.
- 3.3 სამუსიკო სკოლაში მიღება თავისუფალია მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან.
- 3.4 იმ შემთხვევაში თუ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღებ კონტინგენტს, სკოლაში ტარდება შესარჩევი კონკურსი, შინაგანაწესით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 3.5 ცალკეულ შემთხვევაში გამონაკლისის სახით, დასაშვებია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჩარიცხვა შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 3.6 სამუსიკო სკოლაში მისაღებ კონტიგენტს განსაზღვრავს დამკვეთი.
- 3.7 სამუსიკო სკოლას უფლება აქვს განახორციელოს ფასიანი მომსახურეობა ნებისმიერ ასაკის მსურველთათვის (სწავლების შესაბამისი პროგრამებით).
- 3.8 სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს:
 - ა) დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;
 - ბ) კონკურსის შემთხვევაში – მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
- 3.9 სკოლაში შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.
- 3.10 სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური, ჯგუფური გაკვეთილი და კლასგარეშე მუშაობა.
- 3.11 ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე – გაკვეთილზე გამოკითხვა და პერიოდული – ღია და დახურული კონცერტები, საკონტროლო გაკვეთილები, ჩათვლები და გამოცდები.
- 3.12 სამუსიკო სკოლის დამთავრებისას გაიცემა შესაბამისი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი მოწმობა თვით სამუსიკო სკოლის მიერ.

მუხლი 4. სამუსიკო სკოლის სტრუქტურა

სამუსიკო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაცია;
- ბ) ძირითადი სასწავლო (საფორტეპიანო) განყოფილება;
- გ) დამხმარე სასწავლო (თეორიული) განყოფილება.

მუხლი 5. სამუსიკო სკოლის მართვა

5.1 სამუსიკო სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.

5.2 სამუსიკო სკოლის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების ან საშუალო პროფესიული სამუსიკო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური, შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები .

5.3 სამუსიკო სკოლის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სამუსიკო სკოლის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამუსიკო სკოლას, გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

გ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;

დ) მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამუსიკო სკოლის სამტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და მუშაკთა სახელფასო განაკვეთებს;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

ვ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს (დებს შრომით ხელშეკრულებებს) სამუსიკო სკოლის თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს, ამტკიცებს სამუსიკო სკოლის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, ფილიალების დებულებებს, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

თ) წყვეტს მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გარიცხვის საკითხებს;

ი) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს მისაღები კონტიგენტის პროექტს;

კ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს დასამტკიცებლად სამუსიკო სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს;

ლ) წელიწადში ორჯერ (აგრეთვე მოთხოვნის საფუძველზე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერს.

5.7 დირექტორის მოადგილე:

ა) პასუხისმგებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესზე;

ბ) დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

5.8 სამუსიკო სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამუსიკო სკოლის დირექტორი.

5.9 პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

5.10 პედაგოგიური საბჭო:

ა) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებულ სასკოლო წლიურ სამუშაო გეგმას;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს სასკოლო-სასწავლო გეგმებს.

5.11 პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.

5.12 სამუსიკო სკოლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დარგობრივი სამსახური;

5.13 სამუსიკო სკოლის დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს სამუსიკო

სკოლის ერთერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილაც მოკლებულია უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში სამუსიკო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 6. სამუსიკო სკოლის ქონება და სახსრები

6.1 სამუსიკო სკოლის ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ-მოდრავი ქონება), რომელიც ცენტრს გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად და წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებას;

6.2 სამუსიკო სკოლის ფინანსურ სახსრებს შეადგენს:

- ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 7. სამუსიკო სკოლის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

სამუსიკო სკოლას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემა;
- დ) თავდებობა;
- ე) სამუსიკო სკოლაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტილებების მიღება, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. სამუსიკო სკოლის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

სამუსიკო სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 9. კონტროლი

9.1. სამუსიკო სკოლის საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

9.2. სამუსიკო სკოლის კონტროლს ახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

9.3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სამუსიკო სკოლის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

9.4. სამუსიკო სკოლის დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.

მუხლი 10. სამუსიკო სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამუსიკო სკოლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით და საკრებულოს თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი